№1 (9908) ◆ მარტი, 2024 წელი ◆ ფასი 50 თეთრი ◆ *გაზეთი გამოდის 1933 წლის 3 მაისიდან*

ერთგულო მკითხველო!

მოგესალმებით, ოდნავ მოგვიანებით, მაგრამ ისევ ერთად ვართ დაბადებიდან 9908-ე და 2024 წლის პირველი ნომრით. გაზაფხულის პერიოდს დაემთხვა ჩვენი შეხვედრა, როცა ბუნება იღვიძებს სიცოცხლისა და შემოქმედებითი საქმიანობის წყურვილი მძლავრობს.

საქმე კი უამრავია. მიმდინარე წელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სიახლეებით, პროექტებითა თუ სოციალური პროგრამებით მასშტაბურია. რაზედაც შევეცდებით კვლავინდებურად მოგაწოდოთ ინფორმაციები. გაზეთის დანიშნულებაც ხომ სწორედ ესაა. ამჯერად სამი თვის მოკლე მიმოხილვას შემოგთავაზებთ. არადა ეს პერიოდი საინტერესო მოვლენებით აღინიშნა. შემდეგ კი თქვენივე ჩართულობით ავუწყობთ ფეხს მუნიციპალიტეტის ცხოვრების რიტმს.

ვიმედოვნებთ, ჩვენი თანამშრომლობა კვლავაც შემოქმედებითად გაგრძელდება. თქვენ ხომ არა მარტო რესპოდენტები, არამედ შტატგარეშე კორესპოდენტებათაც ითვლებით. წარმატებულ წელს გისურვებთ ჩვენო ერთგულო მკითხველო!

კოორდინირებული მუშაობით პრობლემები დაძლევადია

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის **პაპუნა მარგველიძისა** და მაჟორიტარი დეპუტატის **გოჩა ენუქიძის** ხელმძღვანელობით, სამინისტროების რეგიონული სამსახურების წარმომადგენლებთან გამართულ სამუშაო თათბირზე აღინიშნა, რომ მხარეში შემავალ მუნიციპალიტეტებში გასული წელი გამორჩეული აღმოჩნდა მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით მათსავე საკეთილდღეოდ შეთავაზებული სიახლეებითა თუ სფეროების მიხედვით მასშტაბური პროექტების განხორციელებით. მოყვანილი მაგალითებიდან ხაზგასმით აღინიშნა ის ფაქტი, რომ მარტო საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის მიზნით, სხვადასხვა ფონდებიდან განხორციელდა 83 პროექტი და ჯამში დაიგო 103 კილომეტრამდე ასფალტო-ბეტონის საფარი. ხოლო, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, რეგიონში არსებული 68 სკოლიდან 2023-2025 წლებში დაგეგმილია და უკვე მიმდინარეობს 13 საჯარო სკოლის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაზეც ჯამში დაიხარჯება 20 000 000 ლარი.

უფრო მასშტაბური იქნება 2024 წელი. აქტიურად გაგრძელდება პრიორიტეტული პროექტების მშენებლობა, რისთვისაც პირველ ეტაპზე რეგიონული განვითარების ფონდიდან უკვე გამოყოფილია 21 მილიონი ლარი, რომლის ფარგლებში 95 ობიექტზე განხორციელდება სამუშაოები. საბავშვო ბაღების სამშენებლო და სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში კი დაგეგმილია თანამედროვე სტანდარტების 9 048 230 ლარის ღირებულების 4 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა. მათ შორის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ორის, რომელთაგან სადმელის უკვე მშენებლობის პროცესშია.ასევე მოხდება 4 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია, რაზედაც დაიხარჯება 11 267 000 ლარი.

თათბირზე სამსახურების ხელმძღვანელი პირების წარმოდგენილი ამომწურავი ინფორმაციების საფუძველზე (კითხვა-პასუხის რეჟიმით) საუბარი შეეხო ისეთ თემებს, როგორიცაა სოციალური პროგრამები, ჯანმრთელობის, ტყის სექტორის განვითარება, გარემოს დაცვა, ცხოველთა უფასო ვაქცინაცია, ფერმერული მეურნეობის ხელშეწყობა, ანარჩენებისა და უპატრონო ძაღლების პრობლემა, პრობაცია, ეკომიგრანტები, ბუნებრივი კატაკლიზმების საპრევენციო ღონისძიებები, მოსახლეობაზე ელექტროენერგიის მიწოდებაში არსებული შეფერხებების აღმოფხვრის მიზნით „ენერგო პრო ჯორჯიას“ ამბროლაურის ფილიალის ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობის გააქტიურება და სხვა.

სასიამოვნოდ გაიჟღერა ინფორმაციამ იმის თაობაზე, რომ სულ მალე ქ. ამბროლაურის ცენტრს უბრუნდება ადრინდელი ფუნქცია და ადგილობრივი თვითმართველობის გადასვლით გამონთავისუფლებულ ფართში განთავსებული სოციალური სამსახურები მნიშვნელოვნად გაიუმჯობესებენ სამუშაო პირობებს. განსაკუთრებით ეს შეეხება სასწრაფო დახმარების ცენტრს. ასევე მოხდა ყოფილი კინოთეატრის შენობის გამოსყიდვა, რომელსაც შეუნარჩუნდება პროფილი და შეიძენს სხვა მრავალფუნქციურ დატვირთვას.

პრობლემატურ საკითხებზე მსჯელობისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა იმ ფაქტზე, რომ მიუხედავად ოპერატიულობისა სასწრაფოსა თუ სახანძრო-სამაშველოს ეკიპაჟები ზოგჯერ საბოლოო შედეგს ვერ აღწევენ ობიექტამდე მისვლაში დაკარგული დიდი დროის გამო. გამოითქვა აზრი, რომ დროის მოგების მიზნით ალპანაში მუდმივად მორიგე ჯგუფების არსებობის თაობაზე საკითხი დაისვას შესაბამის სამინისტროებში. ცხადია, ამ და სხვა პრობლემატური საკითხების მოგვარების საქმეში აქტიურად ერთვება სამხარეო ადმინისტრაცია და მაჟორიტარი დეპუტატი.

შეხვედრაზე დაისახა სფეროების მიხედვით სამოქმედო გეგმები, გაიცა დავალებები და გამოითქვა რწმენა, რომ სამხარეო ადმინისტრაციის, მუნიციპალური და რეგიონული სამსახურების კოორდინირებული მუშაობით დაძლეულ იქნება არსებული პრობლემები.

სამუშაო შეხვედრის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები **ქრისტინა კობახიძე, ალუდა თუთისანი, ბერდია ჩანქსელიანი,** ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძე** და მუნიციპალიტეტის მერი **ზვიად მხეიძე**.

მდინარე კრიხულას სანაპიროზე, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული როლის გაზრდის მიზნით, მრავალფუნქციური ცენტრის მშენებლობა აქტიურ რეჟიმში ხორციელდება, რომელიც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება.

პროექტით გათვალისწინებულია ქალაქ ამბროლაურის, ურბანული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საპარკინგე ადგილების (სადაც მოეწყობა ელექტრომობილების დასამუხტი აპარატები), საგამოფენო სივრცეების და საფეხმავლო ბილიკების მოწყობა.

პროექტი, ასევე, ითვალისწინებს გარე განათების, გამწვანების სამუშაოების განხორციელებას, ადაპტირებული გარემოს შექმნას შშმ პირებისთვის, მაღალსიჩქარიანი უფასო ინტერნეტ კავშირის ხელმისაწვდომობას, საფეხმავლო სივრცეების, სკვერის და რეკრეაციული ზონის მოწყობას. საგამოფენო სივრცეებში მოეწყობა ადგილობრივი მსუბუქი რეწვის ნიმუშების გამოფენა და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები.

შედეგად სხვადასხვა პროფესიის და გამოცდილების მქონე ადამიანებს საშუალება მიეცემათ ისარგებლონ აღნიშნული სივრცეებით, რაც უზრუნველყოფს, ამბროლაურის, როგორც რეგიონის ცენტრის ფუნქციური როლის გაზრდას.

სოფელ სადმელში, რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით, მიმდინარეობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 1 278 333 ლარს და გათვლილია 50 ბავშვზე.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა ბაღის შიდა და გარე სივრცეები, რეკრეაციული ზონები, კომუნიკაციები, სველი წერტილები და სრულად იქნება ადაპტირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის.

სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას, სასწავლო პროცესებს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული **პაპუნა მარგველიძე** მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძესთან** და მერთან **ზვიად მხეიძესათან** ერთად გაეცნო. ბავშვებმა მათ მიერ გადაცემული სიმბოლური საჩუქრებიც მიიღეს.

ინფორმაცია

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს 61-ე საკრებულოს მორიგმა სხდომამ განსაზღვრა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.

მოისმინა და დამაკმაყოფილებლად შეაფასა, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წელში გაწეული საქმიანობის და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ ანგარიშები. ცნობად მიიღო, საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში 2023 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ.

***

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს 62-ე მორიგმა სხდომამ მოისმინა და შეაფასა ა(ა)იპ-ების ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება ხელოვნების სკოლის, სკოლისგარეშე სახელოვნებო-სააღმზრდელო დაწესებულების სამხატვრო სკოლის, მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრის შპსეების ახალი ტრანსპორტის და ამბროლაურის სერვის ცენტრის დირექტორების ანგარიშები 2023 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ.

სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე ანგარიში ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. დაამტკიცა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა და იმსჯელა სხვადასხვა საკითხებზე.

არჩევანი გაკეთებულია

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში შარშან ადგილობრივი მოსახლეობის არჩევანით განხორციელდა 734 000 ლარის ღირებულების 68 პროექტი. მიმდინარე – 2024 წელი კვლავავ იძლევა ისევ და ისევ უშუალოდ მოსახლეობის მიერ შერჩეული პროექტების განხორციელების საშუალებას.

ტერიტორიულ ერთეულებში შემავალ ყველა სოფელში ადგილობრივებთან, განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით, გამართულ კონსულტაციებში სამუშაო ჯგუფის წევრებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართულები მოადგილეებთან და დეპუტატებთან ერთად მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და მერი.

სოფლების დიდ ნაწილში პრიორიტეტებად გარე განათების მოწყობა, შიდა გზების რეაბილიტაცია, წყალსადენი სისტემების მოწესრიგება, სანიაღვრე არხების გაკეთება და კონკრეტული სოფლისთვის მნიშვნელოვანი სხვა მიმართულებებია შერჩეული.

(უფრო დაწვრილებით შემდეგ ნომერში).

ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო

თუ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა მის მიერ განვლილი დღეებით განისაზღვრება, მაშინ ხოტეველი **დავით (დათო) რომანის ძე კობახიძის** ცხოვრება ხანმოკლედ ნამდვილად არ ჩაითვლება, რადგან მისი სახელის უკვდავსაყოფად საქართველოს მთავრობის 2015 წლის №239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ნორმიდან გამომდინარე ამბროლაურის მაჟორიტარული 44.02 ოლქის დეპუტატის დავით გოქსაძის ინიცირებით სახელდების ინიციატივის მოტივაციისა და დასაბუთების საფუძველზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება სოფელ ხოტევში გეოგრაფიული ობიექტისათვის – ქუჩისათვის (სოფელი ხოტევი მე-4 ქუჩა, მე-4 ქუჩის პირველი შესახვევი, პირველი ჩიხი, მე-4 ქუჩის მეორე შესახვევი, მეორე ჩიხი, მესამე ჩიხი) მისი სახელის მინიჭების შესახებ.

მან მშობლიური სოფლის აღნიშნული ქუჩის ჩიხებში ხომ მხოლოდ 20 წელიწადი იარა. როცა სამშობლოს დამოუკიდებლობას საფრთხე შეექმნა არც დაფიქრებულა ისე მიაშურა ბრძოლის ველს. ჭაბუკმა ლეიტენანტმა, რაღაც ოთხ თვეში, ასაკისათვის გასაოცარი სიძლიერით უჩვენა გმირობის მაგალითები თანამებრძოლებს, რომლებმაც სიცოცხლის რისკის ფასად შეძლეს, რომ მშობლებს სვეტლანა და რომან კობახიძეებს ჰქონოდათ მშობლიურ სოფელში ტამიშთან საბრძოლო ოპერაციის დროს გმირულად დაღუპული შვილის – დავით კობახიძის საფლავი და ... კიდევ მედალი „მხედრული მამაცობისათვის“.

მისი სული იმ თაობის სარკეა, რომლებმაც თავიანთი სისხლით, აღზრდით და სულიერი წყობით აჩვენეს სამშობლოს ერთგულების მაგალითები. ამიტომ მოიხსენიებენ მათ ეპითეტით „თაობებისათვის მაგალითებად ქცეულნი.“

იმსახურებს დაფასებას და უკვდავყოფას ამ პატრიოტი ჭაბუკის სახელი. ოლქის ამომრჩეველთა პოზიცია ცნობილია, მაგრამ მაინც შევახსენებთ დაინტერესებულ პირთ, რომ საკუთარი მოსაზრებები და წინადადებები წარმოადგინონ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში. შემდეგ მისამართზე: **ქ. ამბროლაური, ბრატისლავა-რაჩის ქუჩა №11**.

გრძელვადიან შედეგზე ორიენტირებული პროგრამები

ვფიქრობთ, მკითხველს არ სჭირდება იმის შეხსენება, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე, ახორციელებს მნიშვნელოვან სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებს. შარშან სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული 16 ქვეპროგრამით 926 ბენეფიციარზე გაიცა 465 970 ლარი.ხოლო სამედიცინო მომსახურების 5 ქვეპროგრამით ისარგებლა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულმა 390 ბენეფიციარმა და გაცემულმა თანხამ შეადგინა 257 694 ლარი. სულ აღნიშნული სფეროს დაფინანსების მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 768 100 ლარი.

ბუნებრივია, მიმდინარე წელსაც ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ერთერთ ძირითად პრიორიტეტად რჩება, და რაც მთავარია, მოსახლეობაზე ფინანსურად შეხიდების მიზნით შეთავაზებული სიახლეებით.

მოსახლეობის მეტად ინფორმირების მიზნით პროგრამებში შეტანილ სიახლეებსა და დაგეგმილ ღონისძიებებზე ინტერვიუ ვთხოვეთ მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელს ქალბატონ **მარიკა დვალს**, რომელსაც აქვე ვთავაზობთ მკითხველს.

●

– ქალბატონო მარიკა, კონკრეტულად მაინც რა სიახლეებს სთავაზობთ მიმდინარე წელს მოსახლეობას და რა იქნება მუნიციპალიტეტის მთავარი პრიორიტეტი სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით?

– სამედიცინო მომსახურების მიმართულებით გვაქვს ხუთი ძირითადი პრიორიტეტი – ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა მედიკამენტური მკურნალობა, ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტთა თანადაფინანსება, ამბულატორიულ-მაღალტექნოლოგიური მომსახურება, რომლის ფარგლებშიც ფინანსდება კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსური ტომოგრაფია, კორონაროგრაფია, ელასტოგრაფია-დადოპლეროგრაფია, ასევე გვაქვს ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსებისა და ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებით მკურნალობის ქვეპროგრამები.

რაც მთავარია, წელს მოიხსნა ქულობრივი ბარიერი და თუ აქამდე სამედიცინო პროგრამების დიდი ნაწილი მიმართული იყო კონკრეტულად სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დახმარებისკენ, ახლა უკვე ამბროლაურში რეგისტრირებულ და მუდმივად მცხოვრების სტატუსის მქონე ყველა პირს აქვს საშუალება საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოს ჯანდაცვის პროგრამებით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდა ქირურგიული ოპერაციების დაფინანსების თანხა და 1000 ლარის ნაცვლად 2000 ლარს შეადგენს. გარდა ამისა ვმუშაობთ ახალ პროგრამაზე, რაც გულისხმობს სქოლიოზის დიაგნოზის მქონე ბავშვებისთვის საცურაო აუზით უფასოდ მომსახურებას.

არსებული პროგრამების პარალელურად, მუნიციპალიტეტის ორგანიზებით, პერიოდულად ადგილზე ჩატარდება უფასოსამედიცინოკვლევები, რომლისფარგლებშიცმსურველებსსაშუალება ექნებათ ისარგებლონ მოწვეული, სხვადასხვაპროფილისსამედიცინოპერსონალისმომსახურებით.

– რამდენადაც ვიცით წელს იწყება ახალი სოციალური პროგრამა, რომლის ფარგლებშიც უსახლკარო ოჯახებს მუნიციპალიტეტი საცხოვრებელი სახლებით დააკმაყოფილებს. იქნებ უფრო დეტალურად გაიცნოთ საზოგადოებას აღნიშნული პროგრამა, რამდენ ბენეფიციარზეა საუბარი და ამ დრომდე როგორ ხდებოდა მსგავსი ოჯახების დახმარება?

– დიახ, წელს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში უსახლკარო ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა იწყება. ამ დრომდე, მსგავსი ოჯახები ძირითადად სარგებლობდნენ ყოველთვიური ბინის ქირის უზრუნველყოფით. თუმცა იმისთვის რომ პროგრამა იყოს უფრო მეტად მორგებული მოქალაქეთა საჭიროებებზე და ამავე დროს იყოს გრძელვადიან შედეგზე ორიენტირებული, მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, შესაძლებლობის ფარგლებში, დაიწყოს მცირეფართიანი საცხოვრებელი სახლების შესყიდვა/მშენებლობა. პირველ ეტაპზე გამოყოფილია 100 000 ლარი, რაც საშუალებას მოგვცემს წელს მინიმუმ ორი ოჯახი დავაკმაყოფილოთ. შესაძლოა ეს არ არის დიდი რიცხვი, თუმცა მთავარია, რომ პროცესი დაიწყოს და შემდეგ უკვე ეტაპობრივად მოხდება ბიუჯეტის გაზრდა და პროგრამის გაფართოება.

– როგორ შეირჩევიან ბენეფიციარები და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ოჯახი, რომ აღნიშნული პროგრამით ისარგებლოს?

– ბენეფიციარები შეირჩევიან შესაბამისი სპეციალისტებით დაკომპლექტებული კომისიის მიერ. ოჯახი,რომელიც აკმაყოფილებს უსახლკარობის პირობებს, პირველ ეტაპზე უნდა დარეგისტრირდეს უსახლკაროდ და მიიღოს შესაბამისი სტატუსი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აქვს განსაკუთრებით მძიმე საცხოვრებელი პირობები, უნდა წარმოადგინოს ექსპერტიზის დასკვნა, რომ სახლი ექვემდებარება დემონტაჟს. ასევე გათვალისწინებული იქნება მცირეწლოვანი ბავშვების, მრავალშვილიანი და შშმ პირთა ოჯახები და სხვა...

– უდაოდ საჭირო პროგრამაა და ვიმედოვნებთ, წარმატებითაც განხორციელდება,რადგან ვფლობთ ინფორმაციას, რომ საზოგადოების მხრიდან აქვს დიდი მხარდაჭერა. გთხოვთ გავაცნოთ მკითხველს რა სახის დახმარებებს ითვალისწინებს სხვა სოციალური პროგრამები და ვინ არიან ბენეფიციარები?

– მუნიციპალიტეტში ხორციელდება სოციალური პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, ახალშობილთა და ახლადშექმნილი ოჯახების წახალისებას, ხანძრით დაზარალებული მოქალაქეების ფინანსურ ხელშეწყობას, რაც ამ დრომდე 10 000 ლარს შეადგენდა, თუმცა წელს გაიზარდა და 15 000 გახდა, ასევე გაიზარდა ბინის ქირით უზრუნველყოფის თანხა და 200 ლარის ნაცვლად 400 ლარი გახდა, წარმატებით ვახორციელებთ შშმ პირთა მხარდაჭერის ღონისძიებებს, გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი „წითელ ჯვართან“ თანამშრომლობით ახორციელებს „შინ მოვლის“ პროგრამას, რაც გულისხმობს ხანდაზმული, სხვადასხვა საჭიროების მქონე მოქალაქეებისთვის სამედიცინო და სოციალური მომსახურების გაწევას ადგილზე. გვაქვს დიალიზით მოსარგებლე პაციენტების ფინანსური დახმარების, ასევე ზამთრის თბობით უზრუნველყოფის ქვეპროგრამები და სხვა.

ყველა სიახლე, რომელიც ხორციელდება, გამომდინარეობს იმ სტატისტიკისა და მოქალაქეთა მომართვიანობის საფუძველზე, რაც მუნიციპალიტეტში ფიქსირდება. გარდა ამისა, გასულ წელს ჩავატარეთ საჭიროებების კვლევა, რომელშიც 200-ზე მეტმა ოჯახმა მიიღო მონაწილეობა, ასევე სისტემატიურად ვხვდებით მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს, ვისმენთ მათ საჭიროებებს და ვცდილობთ მაქსიმალურად გავითვალისწინოთ მათი აზრი ახალი პროგრამების შექმნისას. ჩვენი მიზანია, თითოეული პროგრამა კონკრეტულად პასუხობდეს სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს, იყოს ეფექტიანი და გრძელვადიან შედეგზე ორიენტირებული.

– მადლობთ. წარმატებებს ვუსურვებთ როგორც თქვენს, ისე მერიის სხვა სამსახურებს მოსახლოების ინტერესების სასარგებლოდ საქმეების კეთებაში.

გაზაფხული – სიცოცხლისა და განახლების დღესასწაული

შემობრძანდა მისი უდიდესებულება გაზაფხული. სიცოცხლის, ბედნიერების, აღმშენებლობის, რწმენითა და იმედებით სავსე წლის პერიოდი. გამორჩეულად ქალბატონებისათვის ამაღლებულ ემოციებთან ასოცირებული თვით – მარტი. ჰოდა, ჩვეულებისამებრ არც მოკლებიათ მილოცვები, ყვავილები და საჩუქრები მათ.

სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელმა პირებმა პირადად მიულოცეს დედის დღე და 8 მარტი შინაგან საქმეთა, ჯანდაცვის სამინისტროების საქვეუწყებო დაწესებულებების, სხვადასხვა სამსახურებში დასაქმებულ ქალბატონებს, მრავალშვილიან, მარჩენალდაკარგულ, მარტოხელა დედებს და თაიგულებთან ერთად გადასცეს სიმბოლური საჩუქრები.

სიცოცხლისა და განახლების დღესასწაულები თავის მხრივ სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ ქალბატონებს მიულოცეს პროფილური სამსახურების ხელმძღვანელებმა, კოლეგებმა. მაგალითად ამბროლაურის საბავშვო ბიბლიოთეკამ ღონისძიებით „დედის თვალებში მზე არის“ სამი თაობის წარმომადგენლები შეახვედრა ერთმანეთს. ქალაქის პირველი და მეორე საჯარო სკოლების მოსწავლეებმა, რომლებიც ამავდროულად ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები არიან, სიმღერით, ლექსით, თაიგულებითა და თვითნაკეთი მისალოცი ბარათებით მართლა მზე ჩაუყენეს თვალებსა და გულში მოწვეულ სტუმრებს, მშობლებს, დამსწრე საზოგადოებას. მზესთან ერთად სითბო და იმედიც იმისა, რომ ნიჭიერი თაობა მოდის და ეროვნული ფასეულობები საიმედო ხელშია.

საბავშვო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა მარინა მახალდიანმა მოწვეულ ქალბატონებს: ადგილობრივი გაზეთის რედაქტორს დალი დარახველიძეს, საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელს გულიკო საღინაძეს და საბავშვო ბიბლიოთეკის ყოფილ თანამშრომელს, ოთხი ვაჟის დედას ეთერ გოგობერიშვილს სიმბოლური საჩუქრებიც გადასცათ.

კიდევ უფრო საინტერესო და დასამახსოვრებელი აღმოჩნდა დედის დღისა და 8 მარტის აღსანიშნავი ღონისძიებების დასკვნითი საღამო, რომელიც გაიმართა **„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ქალთა ორგანიზაციის ინიციატივით**. კულტურის ცენტრის მხატვრულმა თუ ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა „ტკბილი ჰანგებით“ დაუვიწყარი საღამო აჩუქა მაყურებელს.

საპატიო მისია ხვდა წილად რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის პირველ მოადგილეს ქალბატონ **ქრისტინე კობახიძეს**. მან საზეიმო ვითარებაში სამხარეო ადმინისტრაციის, დეპუტატის, მუნიციპალიტეტის მილოცვებთან ერთად საჩუქრები გადასცა იმ ქალბატონებს, რომლებმაც სხვადასხვა სფეროში კეთილსინდისიერი საქმიანობით, ზოგადად ქვეყნის, კუთხის წინაშე მოქალაქეობრივი მოვალეობის პირნათლად შესრულებით მისაბაძი კვალი დაამჩნიეს და დღესაც ამჩნევენ მუნიციპალიტეტის ცხოვრებას.

იმ საღამოს დარბაზში საახლობლოს გარემოცვაში და საღამოს მონაწილეთა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა კიდევ ერთი ქალბატონი – ლაურა გურგენიძე-კობახიძე. ქალბატონი, რომელსაც საბედისწერო შემთხვევით მიღებული ტრამვით 30 წელზე მეტია არ სჭერია საკლასო ჟურნალი ხელში, არ სწვევია კულტურის სახლს, მაგრამ თავისი ცხოვრების წესით, მძივებით შექმნილი ფერადოვანი სამყაროთი, ლამაზი კალიგრაფიით გადაწერილი და ილუსტრაციებით წიგნად აკინძული „ვეფხისტყაოსანით“ შეიძლება ითქვას დღესაც აგრძელებს პედაგოგიურ მოღვაწეობას, რუსთაველის იდეალებით კვლავ მოძღვრავს შთამომავლობას, მათ თანატოლებს და რჩება შშმ პირთათვის მაგალითად იმისა, რომ ცხოვრება საინტერესოა და იძლევა მისი შინაარსობრივად გატარების საშუალებას.

ქალთა დღეებისადმი მიძღვნილი საღამო იყო ლექსის, სიმღერისა და ცეკვის ზეიმი. კიდევ უამრავი თაიგული, მილოცვა, სითბო, სიყვარული და დარბაზიდან მათ საპატივცემლოდ „საგალობელის“ აჟღერებული მრავალჟამიერი.

ბედნიერი წელი და მრავალჟამიერ ქალბატონებო!

ძვირფასო თანაკუთხელებო! დაგვეთანხმებით, რომ ბოლო წლებში თვალში საცემად გალამაზდა ჩვენი ქალაქი, რაც განპირობებულია ინფრასტრუქტურული პროექტების სიმრავლით და ახალი სხვადასხვა სახის დაწესებულებების ამოქმედებით. შესაბამისად, გაფართოვდა ქალაქის საზღვრები და გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობაც. სოფლებიდან სხვადასხვა საჭიროებებზე ჩამოსული მოქალაქეების, მოსამსახურებისა და მოსწავლეთა გადაადგილების გაადვილების, დროის დაზოგვის მიზნით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით (სატესტო რეჟიმის გავლისა და მოსახლეობასთან შეთანხმების შემდეგ), ქალაქის ტერიტორიაზე მოძრაობს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი, 47 მგზავრზე გათვლილი და შშმ პირთათვის ადაპტირებული ავტობუსი დილით 08:30 საათიდან 09:19-მდე, საღამოს 18:10-დან 18:50 საათამდე შემდეგი მარშრუტით: გამსახურდიას ქუჩა-ქვაბტკარი (გურგენიძის ქუჩა), ქ. პირველი საჯარო სკოლა, ისევ გამსახურდიას ქუჩა-სადგური-იუსტიციის სახლი.

მგზავრობის ღირებულებაა 0.50 თეთრი. შეღავათები ვრცელდება სოციალურად დაუცველებზე, მოსწავლეებზე, საბავშვო ბაღის აღსაზრდელებსა და შშმ პირებზე.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, ქალაქ ამბროლაურში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისთვის საპროექტო-სამშენებლო სამუშაოებს იწყებს.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია რეზერვუარებისა და არსებული სათავე-ნაგებობების სრული რეაბილიტაცია. დამატებით მოეწყობა გამწმენდი ნაგებობა, მაგისტრალური მილები და წყალმომარაგების სრულიად ახალი ქსელი.

პროექტს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 13 მლნ. ლარზე მეტი მოხმარდება. სამუშაოების დასრულების შემდეგ მოსახლეობა 24 საათიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს.

მზის შვილები

2011 წლის 10 ნოემბერს გაეროს ეგიდით დაწესებული დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე ყოველი წლის 23 მარტს აღინიშნება. თარიღი სიმბოლური დატვირთვისაა, რადგან დაუნის სინდრომი ვლინდება 21-ე ქრომოსომის გასამებით.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ-ქრისტინა კობახიძემ, ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად, დაუნის სინდრომის მქონე- დავით ჩალაძე მოინახულა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა. დავითის მამა ნიკოლოზ ჩალაძე კურორტ შოვში მომხდარ ტრაგედიას ემსხვერპლა.

„მზის შვილები“ – ასე უწოდებენ დაუნის მქონე ბავშვებს, რომლებიც ჩვენი მეგობრები არიან, „მეგობრები კი არ ითვლიან ქრომოსომებს“.

საზოგადოების საყურადღებოდ!

მუნიციპალიტეტში ხალხის კეთილდღეობის მიზნით რომ ბევრი რამ კეთდება, ფაქტია და ამას რაჭით მოხიბლული სტუმრებიც აღიარებენ, მაგრამ არც შენიშვნების მოცემასაც ერიდებიან. გაკვირვებული გვეკითხებიან: გაკეთებულს რატომ არ უვლით და უფრთხილდებითო. სიმართლეს გვეუბნებიან.

ქ. ამბროლაურში ახლადრეაბილიტირებულ სკვერებსა და ცენტრალურ ქუჩებზე ფიქსირდება ინფრასტრუქტურის დაზიანების ფაქტები – დამტვრეული სკამები, დაზიანებული გარე განათება, მოგლეჯილი მცენარეები.

სამწუხაროდ, ეს არ არის პირველი შემთხვევა. უამრავი თხოვნისა და გაფრთხილების მიუხედავად, მოქალაქეების ნაწილი კვლავ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით გამოირჩევიან საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურის მიმართ.

ახალგაზრდებო, განსაკუთრებულად თქვენ მოგმართავთ: გამოიჩინეთ მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, ნუ დააზიანებთ გარემოს და გაუფრთხილდით სივრცეს, რომელიც ქალაქის და მუნიციპალიტეტის თითოეული მაცხოვრებლისათვის იქმნება.

მშობლებო, მიაქციეთ ყურადღება შვილებს. ხომ არ დაგავიწყდათ შეგონება რომ აღზრდა ოჯახიდან იწყება. დასასვენებლად პარკებსა თუ სკვერებში შვილებთან ერთად გამოსულები რატომ არ აძლევთ მათ შენიშვნებს როცა რამეს აზიანებენ? შეგახსენებთ, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ითხოვს სათვალთვალო კამერების რაოდენობის გაზრდას და დაფიქსირებულ ფაქტზე არა იმდენად ბავშვების, არამედ მათი მშობლების დასჯას.

ადრე სწორედ თქვენს გამო შეგნებულად ვერიდებოდით ფაქტების ამსახველი ფოტოების გაზეთში ჩადებას. ვიმედოვნებთ, რომ წელს მსგავსი შემთხვევები არ გვექნება და მისაბაძნი გავხდებით როგორც საერთო ქონების გაფრთხილების, ისე ურთიერთპატივისცემის გამომჟღავნების თვალსაზრისით.

ქალაქი ჩვენია და ჩვენვე უნდა ვუფრთხილდებოდეთ მის იერსახეს.

სამოქალაქო აქტივიზმის ხელშეწყობა მდინარეების დაბინძურების შემცირებისათვის ოზურგეთისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში

ევროკავშირი საქართველოსთვის

„სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო“, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელის, CENN-ის მხარდაჭერით და „საქართველოს ეროკლუბებთან“ პარტნიორობით, ახორციელებს პროექტს „სამოქალაქო აქტივიზმის ხელშეწყობა მდინარეების დაბინძურების შემცირებისათვის ოზურგეთის და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში“.

პროექტის მიზანია ახალგაზრდების მიერ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლებიც მიმართულია მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლებასა და ქცევის ცვლილებაზე. კერძოდ, გარემოს დაბინძურების შეჩერებისაკენ და ნარჩენების მდინარეებში განთავსების კულტურის აღმოფხვრისკენ.

პროექტის ფარგლებში ოზურგეთისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში ჩამოყალიბდა ახალგაზრდული ჯგუფები, რომლებსაც ჩაუტარდათ ტრენინგკურსი კლიმატის ცვლილების, მისი გამომწვევი მიზეზების, კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღონისძიებებისა და მასთან ეფექტიანი ადაპტაციის მიმართულებით. ტრენინგები ასევე მოიცავდა წყლის რესურსების ეფექტიანი მართვის, განახლებადი ენერგიებისა და ენერგო ეფექტურობის თემებს.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ამბროლაურელი და ოზურგეთელი ახალგაზრდების მიერ საინფორმაციო კამპანია თავიანთი თანატოლებისათვის ცნობიერების ასამაღლებლად საყოფაცხოვრებო/სამეურნეო ნარჩენების მართვასა და მდინარეების დაბინძურების პრევენციასთან დაკავშირებით. პროექტის შემდეგ ეტაპზე ახალგაზრდების მიერ განხორციელდება თავიანთი მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული მდინარეების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და გაციფრულება.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „საქართველოს კლიმატის პროგრამა“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებს CENN, კახეთის რეგიონული განვითარების ფონდთან, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის აგროტურიზმის განვითარების ასოციასთან და ჭიათურელთა კავშირთან თანამშრომლობით.

საკონტაქტო პირები:
ოზურგეთი:
თეონა სადრაძე:
551 38 34 34

ამბროლაური:
ეთერი ჭელიძე:
595 06 86 39

ვულოცავთ!

დემეტრე (დემე) ბარსონიძეს

დედიკოს მეგობრები დიდი სიყვარულით და საუკეთესო სურვილებით ვულოცავთ დაბადების დღეს.

დემე უკვე 4 წლისაა!

სპორტი

ადგილობრივი თვითმმართველობა სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას და ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას ერთერთ პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევს და შესაბამისად, მნიშვნელოვანი ღონისძიებებიც ხორციელდება სპორტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული

სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა უკვე დასრულდა სოფლებში: ჩორჯო, ბოსტანა, ლიხეთი, ძირაგეული და იწა. შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ 210 775 ლარი შეადგინა.

სპორტული სტადიონების მოწყობის მეორე ეტაპის სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ აბანოეთში და ჭრებალოში.

ჭიდაობა

გორში გამართულ თავისუფალ და ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატიდან U 15 კატეგორიაში (62კგ) ჭრებალოელი **ბიძინა ჯინჭარაძე** ჩემპიონი დაგვიბრუნდა.

ვულოცავთ მას მწვრთნელთან ერთად ამ გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს.

ჭადრაკი

წარმატებული აღმოჩნდა ამბროლაურის სასპორტო სკოლის ექვსი წარგზავნილთათვის ქ. ქუთაისში ჭადრაკში გამართული იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი. ექვსივემ შეასრულა მე-5 თანრიგოსნის ნორმა.

კუნგ-ფუ სანდი

თბილისში გაიმართული კუნგ-ფუ სანდში ევრაზიის ჩემპიონატიდან ამბროლაურის სასპორტო სკოლის KUDO-ს გუნდი ამჯერადაც სერიოზული ნადავლით დაბრუნდა.

9 ოქროს, 6 ვერცლის მედალი და გუნდური პირველობა.წარმატების ავტორები არიან: **მარიამ ენუქიძე, ამიკო აბუთიძე, ავთანდილ ტყეშელაშვილი, მარიამ ლუხუტაშვილი, ლიზი ჩიტიძე, ალექსანდრე დუშუაშვილი, ანჟელა და გიორგი მომცელიძეები, ლუკა ნასარიძე, ირაკლი ღოღელიანი, ბარბარე ბათხაძე, ანდრია დავითულიანი, მიშიკო მეტონიძე, დათო გოქაძე და ვასილ დვალაძე.**

ვულოცავთ მწვრთნელ დავით დუშუაშვილთან ერთად მათ ამ გამარჯვებას და ვუსურვებთ შემდგომშიც წარმატებებს, რომლებსაც გვჯერა, მიმდინარე წელში არ მოგვაკლებენ.

იზოლდა, დალი დარახველიძეები, მედიკო სულთანიშვილი, ლალი ბიჭაშვილი, როზა ალავიძე, ციცო სოხაძე, სოფო ქოქოსაძე, დოდო ლებანიძე, ავთანდილ ნამგალაძე, თენგიზ ველიაშვილი, ამირან ვაჩაძე, იური ჭელიძე, გიორგი იაშვილი უთანაგრძნობენ მწუხარებაში გურამ სულთანიშვილს შვილის

ნინოს

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი
დალი
დარახველიძე

რედაქციის მისამართია:
ქ. ამბროლაური,
დავით აღმაშენებლის ქუჩა №24
ტელ: 593 60 40 67

„ამბროლაურის მოამბე“
რეგისტრირებულია ამბროლაურის
სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის №15/5/ბ103

გაზეთი დაიბეჭდა
ბაჯური ჯილაძის მიერ
ქუთაისი, წერეთლის ქ. №186.
ტელ: 0431 23 45 54

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს, ავტორი პასუხისმგებელია მასალის, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, შინაარსსა და სტილზე.